№ 226 30 ოკტომბერი, შაბათი. 1866 1882 30 ოკტომბერი, შაბათი № 226.

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერასიმის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ხელისმომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

**„დროების“ ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთის წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . | 5 მან. | ერთის თვისა . . . | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] 8 კაპ.

თუ ხელნაწერი მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

**არწრუნის თეატრი.**

**ოთხშაბათს, 3 ნოემბერს**

**ბ ე ნ ე ფ ი ს ი**

**კ. დ. ყიფიანისა**

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება აბონემენტის რიცხვში პირველად

**კაცის მკვლელი**

დრამა 5 მოქმედებად ჟაკომეტისა, ნათ. ნ. ს. მესხისა.

მონაწილეობას მიიღებს კნ. ბ. ავალოვისა.

მოთამაშენი: სათ.-აბაშიძე, ბაბუნა, ყიფიანი, მესხი, აბაშიძე და სხვ.

ბილეთები სახლში არავის გაეგზავნება.

დასაწყისი 8 საათზედ.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 28 ოკტომბ. „მმართველობის მოამბე“ გვაცნობებს, რომ მეორე პირველი გაფრთხილება გაზეთ „აღმოსავლეთის მიმოხილვას“ („Восточное Обозрѣніе“), სიბირის ადმინისტრაციის პირთა გადაკიდებაზედ.

„გოლოსი“ გვაცნობებს: ინგლისის აკადემიამ გადაუწყვიტა მედალი პროფესორ მენდელეევს, რადგანაც იმისი უკანასკნელი შრომა იცნეს საუკეთესოდ ამ ათის წლის განმავლობაში.

„ნოვოე ვრემია“ გვაცნობებს, რომ ნოემბერს მოელიან განასხლოს კომიტეტის კომისიის მუშაობამ შესახებ სამხედროთა ცვლილებაზედ.

„ნოვოსტი“ გვაცნობებს: იუსტიციის მინისტრმა მიმართა იურისტებს ცირკულიარით, თხოვნით აცნობონ თავიანთი აზრი კომისიას, რომელიც მუშაობს ახლად, სამოქალაქო კანონებთა დამატებისთვის.

ვენა, 28 ოკტომბერს. ორჯერ იყო ქუჩაში შეტაკება ჯართან, იმის შესახებ, რომ დაკეტეს კრება მეწაღეთა. მშვიდობიანობა მალით ჩამოაგდეს.

## ათონის მთიდამ.

(წერილი რედაქტორთან)

როგორც ვიცით ისტორიიდგან, სწავლა-განათლება დიდხანს ეპყრათ ხელში მღვდლებს და მონასტრებს; დიდხანს იყვნენ მღვდელნი და ეპისკოპოსნი მნათობ ლამპრებათ კაცობრიობის ბნელ და ეკლიან გზაზედ მსვლელობისა.

გაიარა დრომ, ცოტაოდნათ გაკაფულ და განათლებულ იქმნენ ის ძველი სიბნელე და ეკლიანი გზები. დასჭირდა კაცობრიობას უფრო დახელოვნებული და დროების შესაფერი წინამძღვარი. ის ლამპარი, რომელიც აკმაყოფილებდა წინაპარს, აღარ ჰყოფნის დღევანდელ კაცს. კაცობრიობის მოთხოვნილებანი გამრავლდნენ და გაიდიდნენ. სასულიერო წოდება საზოგადოთ და განსაკუთრებით ჩვენი, არა თუ ვერ გაუძლვა წინ ერს და მისს მსვლელობას, არამედ შორი-ახლოც ვერ მისდია; არა თუ ვერ გარდაიქცა ის უფრო ბრწყინვალე ლამპრად, არამედ ის შუქიც დაკარგა, რაც ადრე ჰქონდა.

მე არ შევუდგები იმის გარჩევას, თუ რა სარგებლობა მოუტანა საზოგადოებას სამღვდელოებამ თავის ბრწყინვალების დროს, ან რა მიზეზით უკან დარჩა ის. დღეს ჩემი სიტყვა არის ათონის მთის ივერიის მონასტერზე იმ მონასტერზე, რომელიც არის დამყარებული ჩვენი სასულიერო წოდების ბრწყინვალების დროს.

ამ ივერიის მონასტერს, დაფუძნებულს ქართველ გვარისათვის მეათე საუკუნეში ჩვენი წმინდა მამებისაგან მოაწმინდაზე (ათონის მთა), შემწეობით ჩვენი მეფეებისა მეთვრამეტე საუკუნემდი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს საქართველოის ცხოვრებაში. აქ იყო აკადემია ღვთის-მეტყველებისა, სადაც იზრდებოდნენ სამღვდელო პირნი საქართველოის, იმ დროს სამაგალითონი; აქ იყო ბიბლიოთეკა და ინახებოდნენ უშიშრად ჩვენი ძველი წიგნები.

მეთვრამეტე საუკუნის დამლევს, დროთა ვითამების გამო ქართველების მისვლა-მოსვლა ათონში შესწყდა, ქართველი ბერების რიცხვი ათონში შემცირდა, ჩვენი მონასტერი მიითვისეს ბერძნებმა.

ამ თვრამეტი წლის წინათ, როდესაც მე პირველად ათონში მივედი, მონასტერს არა თუ ქართველობის არაფერი ეტყობოდა, არამედ ქართველს სრულებითაც აღარ იღებდნენ მონასტერში ბერძნის ბერები. და დღემდისაც ასე მითვისებული აქვსთ ბერძნის ბერებს ჩვენი მონასტერი.

რადგანაც ჩვენ ძველ მონასტერში არ შემიშვეს ბერძნებმა, ვიფიქრე აღშენება ერთი რამე თავშესაფარისა ჩვენ განბნეულ ქართველ მოღვაწეთათვის, და მართლაც, მადლითა ღვთისათა და შემწეობითა ჩვენი საზოგადოებისა, აღვაშენე სავანე, სადაც ვითვლებით დღეს ორმოცამდინ ქართველი ბერები.

ამასთანავე დავიწყე მე ჩივილი იმაზედ, რომ ჩვენ მამაპაპის ნაღვაწით აღშენებული მონასტერი ჩვენვე დაგვებრუნებოდა. ჩვენმა საზოგადოებამ იცის ეს ჩემი საჩივარი.

დღეს, ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით, საქმე სტამბოლის რუსის დესპანს (ელჩს) აქვს გარდმოცემული და იმედია, რომ ჩვენ მონასტერს ჩვენვე დაგვიბრუნებენ. ან და რას გვემართლებიან? ნუ თუ ჩვენი მამა-პაპისეული ჩვენ არ გვეკუთვნის და ჩვენ ღირსნი არ ვართ მიღებისა!

რადგანაც ჯერ საქმე არ გათავებულა, ამისთვის საჭიროა ჩვენი საზოგადოება დაგვეხმაროს ამ საქმეში, თუ სიტყვით, თუ გაზეთებით, თუ სხვით.

შეიძლება სთქვან ზოგიერთებმა:

---

„დროების“ ფელეტონი, 30 ოკტ.

### მამის-მკვლელი

(მოთხრობა *)

იაგო თავის ამხანაგებით, ერთს ღამეს, არდონის სტანციას უპირებდნენ ფოშტას და ჯოგის გარეკას.

მხოლოდ ყველანი ცხენებით იყვნენ, რადგანაც ჩეჩენს დაშორებული, კარგა მანძილის მინდვრით გავლა უნდოდათ.

ყველას წინ მიუძღვებოდა იაგო, რადგანაც ამ ადგილებს კარგად იცნობდა და ამდენმა ხეტებამ და მაგალითებმა აჩვიეს ამ გვარ მდგომარეობაში საჭირო სიფთხილეს. ის მიუძღოდა წინ, ყურებ დაცქვეტილი და თვალებ გაფაციცებული, რათა არ გამოჰპაროდა არაფერი საგანი, რომელზედაც იყო დამოკიდებული იმათი გამარჯვება და იმათივე სიცოცხლეც.

ერთბაშად იმან შეაყენა ცხენი და ამხანაგებიც შედგნენ, რამოდენიმე ხანი გაჩერებული, მთლად სმენად გადაქცეულნი, იყვნენ და რაღაცას ყურს უგდებდნენ, მაგრამ არავითარი ხმაურობა არ ესმოდათ.

— რაი ამბავია? ბოლოს გაკვირვებით იკითხა ჩორამ.

— დაიცა. გააწყვეტინა იაგომ და ყურთან ხელი მიიდო.

— რას უგდებ ყურს, მე არ მესმისრა? დაიწყო ისევ ჩორამ.

— ცხენოსნები რაიმე მოდიან, და ის კი ვერ გამიგია საიდგან. უპასუხა იაგომ.

— ღვთის მადლმა მოგეჩვენა, თორემ ჩვენც გავიგონებდით. უთხრა ჩორამ და მიუბრუნდა დანარჩენს ამხანაგებს: — გესმისთ რაიმე?

— არა. საერთოდ უპასუხეს იმათ.

— თუ მე ვარ ბელადი — დამაცადეთ, — წყენით უთხრა იაგომ. — თუ არა და თქვენ დაუდექით ბელადათ და მე მოგყვებით.

— ღმერთო! წამოიძახა ჩორამ. — ბანა საწყენათ გითხარ. იქნება შენ მართალი იყო, რაიც გინდა ისა ჰქენ.

ჩორამ ვერ გაათავა ეს სიტყვები, როდესაც, მსუბუქმა ნიავმა, იმათ ყურსაც მიაღწივა ცხენების ფეხის ხმა, რომელიც ძალიან ჩქარად მოდიოდნენ.

იაგო გადმოხტა ცხენიდგან, დაეცა დედა-მიწას და ზედ დაადო ყური. რაოდენიმე ხანს შემდეგ ის წამოდგა და შეჯდა ცხენზედ.

— აჩქარდით, ჩვენკენ მოდიან... კარგა ბლომად ხალხია!..

ამ სიტყვებით იმან გვერდზედ მიაბრუნა ცხენი, იმას დაჰყვნენ ამხანაგები და ჩქარა ჩაიმალნენ ქალიანს ხევში. იქ მონახეს საუკეთესო სიმაგრე, ჩამოხდნენ ცხენებიდგან და ჩასაფრდნენ.

როდესაც იაგომ ყველაფერი დაალაგა, ყველას განკარგულება მისცა და ყველანი თავ-თავის ადგილას დააყენა, თითონ ამოვიდა ისევ ზევიდგან, ჩაწვა ბალახებში და ისე ცურვით მიუახლოვდა გზის გვერდით ერთ ქვას, რომელსაც ისე გაეკრა, რომ სანამ კარგად არ დააკვირდებოდით ვერ გამოარჩევდით ქვებიდგან.

ასე გაჩუმებული სულ გაკმენდილი ის დარჩა რაოდენიმე ხანს; ცხენების ფეხის ხმა თან-და-თან ახლოვდებოდა, ბოლოს ხალხის ლაპარაკიც მოისმა. აღმოჩნდა, რომ ათიოდე, თუ ცოტა მეტი ყაზახი მოდიოდა გზების საჩხრეკად და მშვიდობიანობის დასაცველად. რა წამს ისინი გაუსწორდნენ ქალას, უფროსმა დაიძახა:

— შესდექით! და ყველანი გაჩერდნენ ერთს ადგილას...

— ბუზანცოვ! დაიწყო ისევ იმან. აქ კარგი დასადგომი იქნება, აგერ შეშაც ახლოა, წყალიც — ცხვარი მოვხარშოთ და ვახშამი ვჭამოთ.

— აქ მეტად ახლო ვართ მეძებვარეებთან, ისინი ეგრე თავს არ დაგვანებებენ.

— მით უფრო უარესი იმათთვის! წამოიძახა პირველმა. — თუ მოსვლა გაბედეს ძაღლებივით ჩავხოცთ! — უთხარი ჯარს ჩამოვიდნენ ხევის პირს და კაცები ჩაგზავნე შეშისთვის.

ამის შემდეგ ის, დოინჯ შემოყრილი, ჩაბრუნდა ხევისკენ, იმას მიჰყვნენ დანარჩენები და იქ ჩამოხტნენ. რა ცხენები გაუშვეს საძოვარზედ, ხალხი გაიფანტა, ზოგი ქალაში შეშის მოსატანად, ზოგიც წყალზედ. ორი ყაზახი კი ცხენებს მოუდგა, რათა ძალიან შორს არ წასულიყვნენ. ბუზანცოვი და უფროსი კი ბინაში დარჩნენ.

იაგომ, რომელიც შეუმცნეველი დარჩა, გაიგონა იმათი ლაპარაკი, გაიგო, რომ რაღაცა უსამართლოება ჩაედინათ მწყემსისთვის, რომელნიც თუ მოსვლას გაბედამდნენ შეუბრალებლად და გადაუხდევინებლად ჩახოცავდნენ, მაგრამ რისთვის, რა მოხდა, რა მიზეზი იყო იმან ვერ გაიგო იმათ ლაპარაკიდგან. ყაზახებმა ბინა ისეთს ალაგს ამოირჩიეს, რომ იაგოს, შე-

*) იხ. „დროება“, № 225.

— რა სარგებლობა ექნება ჩვენ საზოგადოებას იმით, რომ იმ მონასტერში, სადაც დღეს ბერძნის ბერები ცხოვრობენ, ჩვენმა ბერებმა იცხოვრონო! ბერებს თუ ზიანი არა, სარგებლობაც არაფერი არ მოაქვთ ჩვენთვისო და სადაც უნდათ იქ იცხოვრონო!

მაგრამ ეს ასე არ არის. მართალია, დღეს, არა თუ ბერებს, გამომწყვდეულებს მონასტრებში, არამედ მღვდლებს, ხალხში მცხოვრებლებსაც ცოტა სარგებლობა მოაქვთ ხალხისათვის; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასე უნდა იყვეს და ეს იყოს ბუნების კანონი. ჩვენ ვიცით, რომ ძველად სამღვდელოებას დიდი ღვაწლი მიუძღოდა ჩვენი ერის ცხოვრებაში: გაჭირვების დროს იყო ნუგეშის მცემელი და გამამხნევებელი ერისა; ლხინის დროს თანამოლხინე და დამამშვენებელი, ამასთანავე მასწავლებელი და განმანათლებელი მაშინდელი ახალგაზრდობისა. რატომ არ შეიძლება, რომ რაც ყოფილა ძველად სასულიერო წოდება, იგივე იყვეს ახალს დროს?

როგორც ზევით ვსთქვით, ჩვენ მთა-წმინდის Iვერიის მონასტერს ადრე ჰქონია ასამდინ მოსწავლეთათვის აკადემია თუ იყოს და ერთი დროების შესაფერი სასწავლებელი იყოს გინდ ათონში, გინდ ამ მონასტრის ხარჯით საქართველოის ერთ რომელიმე მხარეში.

დღეს ჩვენ Iვერიის მონასტერში სიმასი ბერძნის ბერები იმყოფებიან და თან ფულებს აგროვებენ. ამას გარდა ჩვენ ძველ ქართულ წიგნებს და ქვებზედ ზედ-წარწერაებს აოხრებენ. ფაქტია, რომ ბოთლებს თავს უცობდნენ ჩვენი ძველი წიგნების ფურცლებით.

ორმა ჩვენებურმა ახალ-ციხის ვაჭარმა კონსტანტინეპოლში მიამბეს, რომ რამოდენიმე თვის წინეთ ბერძნებს გასასყიდათ მოუტანიათ ძველი ხუცური წიგნები. როდესაც ჩვენ ვაჭრებს ქართული წიგნები უცვნიათ, გამყიდველებს უთქვამთ, რომ სხვა კიდევ ბევრი წიგნები გვაქვსო და ყველას მოვიტანთო, წასულან და გამქრალან. (უთუოდ შიშით, წიგნები არ წაგვართვან და ბელაში არ გაგვხვიონო).

საიდგან ყოფილან ეს წიგნები?— ეჭვი არ არის ან მთა-წმინდიდან და ან, იმის მსგავსი, სხვა ძველ ქართულ მონასტრებიდგან, რომლების რიცხვი ბევრია, და რომელთაგან ჩვენს ხელში ერთიც არ არის.

საქართველოის საზოგადოება უნდა ცდილობდეს ხსენებული მონასტრის ამოსაგებლად, რომელსაც შემდეგში სხვა ბევრიც უნდა მოჰყვეს. საბუთები მაქვს, რომ ქართველებს ეკუთვნის ჩვიდმეტამდინ მონასტრები Iერუსალიმში, რომელნიც დღეს სულ ბერძნების ხელში არიან.

ნუ თუ ჩვენი საზოგადოება ყურადღებას არ მიაქცევს ამისთანა საქმეს, ამისთანა შეურაცხყოფას და შევიწებას მისი სასიქადულო წინაპარისას, რომ ამ წინაპარის დანაშთი, მოწმე მისი ძველი ისტორიისა, დაჯეკნილ და ბოლოს აღხოცილ იქმნეს დედამიწის ზურგიდგან?!

სხიმონაზონი ბენედიქტე ბარველაძე
წინამძღვარი ათონის ქართველ
ბერების სავანისა.

18 ოქტომბერს.

*P. S.* ეს შენიშვნა მზათ მქონდა გამოსაგზავნად, როდესაც რუსეთის სალონიკის გენერალ-კონსულმა ბ-ნმა Iაკობსონმა მიამბო, რომ ის, ელჩის მინდობილობით, გუშინ, 17-ს ამა ოქტომბრისას, თან დასწრებით პირველი რუსის დრაგომანისა (მოენე), სტატსკი სოვეტნიკის Iვანოვისა, იყო კონსტანტინოპოლის პატრიარქთან ამ ჩვენი მონასტრის საქმის შესახებ.

პატრიარქმა აღიარა თქვენი სიმართლე და თქვენი თხოვნის კანონიერობაო.

ჩვენ სიმართლე კი გვაქვს ყოველი მხრით, მხოლოდ ეხლა საქმე ჩვენს დაკმაყოფილებაში არის და ვნახოთ რა რიგათ დაგვაკმაყოფილებენ.

უნდა დავუმატო, რომ სტამბოლის რუსის ელჩი, ბ. ნელიდოვი და სალონიკის კონსოლი ბ. Iაკობსონი გულით მონდომებულნი არიან ჩვენი კანონიერი თხოვნის შესრულებისათვის.

სხ. ბენედიქტე.

## ᲓᲚIᲣᲠI

ამ თვის 26 ქალაქის ბამგეობაში დანიშნული იყო ვაჭრობა ორი პაროMის იჯარით გაცემაზედ: ერთი მუხრანიანთ ხიდთან და მეორე ვერასა და ქალაქის საავადმყოფოს შუა. პირველი ამ პარომთაგანი ვაჭრობაში დარჩა კაურევგოვს 5,565 მანეთად და მეორე კადურინს — 1,595 მანეთად წელიწადში. თუ რამდენად მოიმატა ამ პარომების არენდის ფასმა იქიდამ სჩანს, რომ შარშან მუხრანიანთ ხიდის პარომი წელიწადში 600 მან. იყო გაცემული და ვერისა კი სულ 80 მანეთად.

* * *

დღევანდელს ჩვენს გაზეთში იბეჭდება ათონის მთიდამ მიღებული წერილი ბერის ბენედიქტესი. მივაქცევთ ჩვენი მკითხველების ყურადღებას ამ წერილზე; იმაში მოყვანილი საგანი მარტო საეკკლესიო წოდებასა სულის საქმეს კი არ შეეხება, არამედ ყველა ქართველებსა, რომელთაც-კი ჩვენი საზოგადო საქმეებისათვის ცოტათი მაინც შესტკივათ გული.

* * *

ერთს მოსკოვის გაზეთში იწერებიან კავკასიის ტრანზიტის თაობაზედ, რომელზედაც, სხვათა შორის, გუშინდელმა ტელეგრამმამაც გვაცნობა ამბავი:

„გაზეთებში იწერებოდნენ, რომ ფინანსთ სამინისტროში სჯა არისო კავკასიის ტრანზიტის მოსპობაზედ. ამ საგანზედ სჯა ღვინობისთვის 20-ს უნდა ჰყოფილიყო; მაგრამ, რადგან კავკასიიდამ დაბარებული ზოგიერთი ვაჭრები ვერ მოვიდნენ ამ დრომდინ, ამის გამო სჯა 25 ღვინობისთვის გადაიდვა. ამ საგანზე სჯის დროს თავმჯდომარედ იქნება მანუფაქტურისა და ვაჭრობის დეპარტამენტის დირექტორი ერმაკოვი, მოსკოვიდამ დაბარებულნი ნაიდენოვი, მოროზოვები და ანანოვი.

* * *

ქუთაისიდამ სამღურავს გვწერენ იქაურს სომხის მღვდელზე მ. ტ.-დ. Iარალიანცზე, რომ ერთი იმის მრევლთაგანი ა. ბ. მისულა იმასთან თავის ორი ვაჟის მეტრიკულ თუ ნათლობის მოწმობის მისაღებად, რადგან ორივე ეს შვილები სასწავლებელში უნდა შეეყვანა და ხსენებულს მოწმობას თუ არ წარმოადგენდა, ისე არ იღებდნენ. მ. ტერ-დავითს ერთის შვილის მოწმობა კი მიუცია და მეორე კი ეკკლესიის წიგნში არ არის ჩაწერილი და ვერ მოგცემო.

მომჩივანი გვწერს, თვითონ მ. ტერ-

---

უმცნევლად ამხანაგებთან ჩასვლა შეძლო. ამისათვის ის გასხლტა და ჩქარა შეუერთდა ამხანაგებს, რომელთაც ჩუმად უამბო რაც იცოდა ყაზახების მოსვლაზედ.

— შენი კვნესამე, ნუ დავახოციNებთ მემცხვარეებს, დიდი ცოდო იქნება. უთხრა მთიულმა, რომლის გულიც აფანცქალდა რა ცხვრისა და მემცხვარეების სახელი გაიგონა.

— ჰაი, ჰაი, რომ არ დავახოცვინებთ. რაი კაცობა იქნება ჩვენთვის, რომ კაცის კვლას ისე უყუროთ.

Iსინი ამ ლაპარაკში იყვნენ, როდესაც ოთხი ყაზახი, ჩინჩხვრის და ხმელი შეშის გროვებით, მიახლოვდნენ დამალულებს.

— გზების საყარაულოდ გამოგვგზავნეს, დაიწყო ერთმა.— და ჩვენ კი აი სადა ვართ!

— ეშმაკმა წაიღოს ეგ გზებიც!— უპასუხა მეორემ.— ჩვენ კი მოსვენება აღარა გვაქვს-და.

— Iსეთი მსუქანია ცხვარია, რომ ცხენზედ ძლივს ამოვწიევ.

Iმან ვერ გაათავა ეს სიტყვები, როდესაც ოთხი მთიულნი სწრაფად გადმოხტნენ, ჩაიდვეს ძირს ყაზახები და ხანჯლები დააჭირეს გულში.

შეშინებულმა ყაზახებმა პირები დააღეს დასაყვირად, მაგრამ Iაგოს მბძანებელმა ხმამ საჩქაროდ ჩააჩუმა ისინი.

— ჩუმად! დასჭყივლა იმან და ყაზახები გაშეშდნენ.

— ესენი-კი ბარემ მოვიშორეთ. სიამოვნებით წარმოსთქვა მთიულმა. კობამ მოიტანა თოკები, მთიელთ მაგრად შეჰკრეს ყაზახები და მიათრიეს თავიანთ ბინაში.

Iსენი ძლივს მორჩნენ ამ საქმეს, როდესაც ყაზახების მხრიდგან რაღაცა ხმაურობა და მაღალი ლაპარაკი მოისმა. ამხანაგებმა გაიგონეს რამდენიმე ჩერქეზის და ყაზახების ხმა-მაღლა ლაპარაკი ამხანაგები გაიქცნენ იქითკენ და მიეპარნენ შეუმცნევლად. Iმათ დაინახეს ორი ჩერქეზი მწყემსი, რომელნიც ხელების ქნევით რაღაცას ელაპარაკებოდნენ დამტვრეულის რუსულის ენით, რადგანაც არც ერთმა ჩერქეზმა ეს ენა რიგიანად არ იცოდა და რაც იცოდნენ ისიც მღელვარებას გადაევიწყა.

ყაზახები, რომელნიც მოგროვილიყვნენ, იცინოდნენ იმათ რუსულის უცოდნელობაზედ და მასხარად იგდებდნენ. როდესაც პირველმა მღელვარებამ გაიარა და ჩერქეზები ცოტათი დამშვიდდნენ, უფრო გარკვევით დაიწყეს ლაპარაკი.

— არ მეტყვით, თქვე ეშმაკის შვილებო, რა გინდათ? დასძახა უფროსმა ყაზახმა, რომელიც ნაბადზედ გაწოლილიყო და ჩიბუხსა სწევდა.

— შენმა ყაზახებმა ცხვარი მოგვტაცეს... გადაახდევინე და ცხვარი დაგვიბრუნე. უპასუხა ერთმა ჩერქეზმა.

— რომელმა მოგტაცა, მიჩვენე.

ჩერქეზმა მოათვალიერა იქ მყოფები და ბოლოს წამოიძახა:

— სათ გავარჩიო, სულ პაჭუები არიან, სულ ერთმანერთსა ჰგვანან.

— მაშ ვიზედა სჩივი?

— შენს ყაზახებზედ.

— აქ ბევრნი არიან, დამნაშავე რომელია.

— მე რაი ვიცი დამნაშავე ვინაა!.. წამოიძახა ჩერქეზმა.— მე ვიცი, რომ შენმა ყაზახებმა მომტაცეს ცხვარი, და შენ უფროსი იმადა ჰყევხარ, რომ გადაახდევინო.

— შენ როგორა ჰგედამ ყველას გამტყუვნებას?.. მაგისთვის იცი რას გიზამ?.. თუ ქურდობას აბრალებ ვისმე— კაცი გვიჩვენე, თუ არა და გაეთრიე აქედგან, სანამ ტყავი არ გაუძვრიათ!

— ღმერთო! საკლავიც მე წამართვან და ტყავიც მე გამაძრონ!?

— ვინ წაგართვა, ვინა? მივარდა ყაზახი.

— შენმა ყაზახებმა, სხვა ვინა! უპასუხა გულმოსულმა ჩერქეზმა და ერთბაშად დაინახა ცხვარი, რომელიც დაეკლათ და იქვე ეგდო.— აგერ ჩემი ცხვარიც; გაექანა საკლავისკენ და სხვრს დაუწყო შინჯვა.

ყაზახები თითქოს შეკრთნენ და ჩერქეზი კი წყნარად ლაპარაკობდა:

— არა გრცხვენიანთ, ნამუსი არა გაქვსთ?.. თუ საკლავი გინდოდათ, ითხოვდით და მოგცემდით, თუ არა და სირცხვილი არის?.. განა მაგისთვისა ხართ დაყენებული? მოდი შვუქიყო, დაუძახა ამხანაგს.— წავიღოთ ცხვარი.

ჩერქეზები მივიდნენ და გაავლეს საკლავს ხელი, მაგრამ უფროსმა ყაზახმა დასძახა უნცროსებს:

— არ დაანებოთ!

ყაზახები მისცვივდნენ და დაუწყეს რთმევა, მეცხვარეები არ ანებებდნენ და იძახდნენ:

— ღმერთს არ მოეტყუება, გავწყდებით და ძალად არ დაგანებებთ!

— გაუშვით, დაანებეთ თავი! ეჩხუბებოდნენ ყაზახები.

— გავწყდებით და არ დაგანებებთ.

— გაუშვით!

— არა.

— მათრახები! დასჭყივლა უფროსმა და ის იყო ყაზახებმა შეუმაღლეს ხელი, როდესაც დამალული Iაგო, თავის ამხანაგებით, გადმოცვივდნენ და ხმლებით შეუტიეს ყაზახებს; ამათ მიეშველნენ გაბრაზებული ჩერქეზები და შეიქნა ჩხუბი. ყაზახები, შეშინებულნი ამ მოულოდნელის შემთხვევით, წესიერად ველარ იბრძოდნენ და ხევწნაზედ გადავიდნენ; ისინი დაეცნენ მუხლებზედ და შეწყალებას ევედრებოდნენ.

ყაზახები შეკრეს, აჰყარეს იარა-

ლავით ბრძანდებოდა ამ შვილის ნათლობაზედო და როგორ გამოტოვა — ვერ გამიგიაო. ამით შვილი უსწავლელი დამირჩება და არ ვიცი — რა ვქნაო.

* *
*

ახალციხიდამ გვწერენ შემდეგ ამბავს:

„ჯავახეთის ახალქალაქში სცხოვრებდა კარგა ფულიანი მოხუცი უშვილო ცოლ-ქმარი (სომხები). სიბერის დროს ამათ მოინდომეს იერუსალიმის ნახვა და ცოდვების მონანიება. ბევრი აღარ იფიქრეს, იქირავეს ფურგონი, ფული რაც ჰქონდათ, სულ თან წამოიღეს. მომეტებული ნაწილი ტანისამოსზე მიიკერეს: ზოგი ბეჭებზე, ზოგი იღლიებში. თანვე წამოიყვანეს პატა ათი-თორმეტი წლის გოგო, რომელიც შვილათა ჰყავდათ აყვანილი.

„ეს ამბავი ბევრმა შეიტყო და ერთი იქაურივე ამათი მეზობელიც მეემზადა ვითომც სავაჭროებზე წასასვლელათ ქალაქში და ამათვე გამოჰყვა ფურგონით. როდესაც ჩვენი მგზავრები ბაკურიანს მოახლოვდნენ, სადაც დათვის მცველებისა და დათვების მეტი არავინა სცხოვრებს, ეს ჩვენი განკებ მოგზაური ეტყვის საწყალ მოხუცს მლოცავს:

„— ჩამოვხტეთ, ფეხით გავიაროთო".

„თურმე ნუ იტყვით, იქ რამდენიმე წინათვე დარიგებული დაიარაღებული კაცი დახვდებათ, ჰკვრენ ბერიკაცს თოფსა, იქვე მოჰკვლენ, ცოლს ავარდებიან: ფულები მოგვე, თორემ შენც მოგკლავთო! ის ამოიღებს იღლიებიდან ხუთას თუმანს, მისცემს და ეტყვის: ოღონდ მე ნუ მამკლავთ, სული თქვენი ჭირი-სანაცვალო იყოს.

„თოფის სროლაზე მეფურგუნის ცხენები დაფთხებიან მოიტაცებენ ფურგუნს გადაბრუნებენ და ბავშვს იქვე გასჭყლეტენ.

„რამდენსამე ხანს უკან ყარაულებიც გაჩნდებიან და ავაზაკები გაიქცევიან.

ეს ავაზაკები სულ მთლათ დამურულები ყოფილან, რომ არ გვიცნონო. შემდეგ ცოლს ქმრის ტანისამოსიდან გამოუღია მიკერებული ათასი თუმანი. ეხლა ამბობენ, სამია დაჭერილი იმ ავაზაკებთაგანი და ის მგზავრიცაო."

## წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ ამ წერილს თქვენს პატივსაცემს გაზეთში.

ამას წინეთ 217 №-ში „დროებისა" დაბეჭდილი იყო, სხვათა შორის, შემდეგი პატარა შენიშვნა:

„ოზურგეთიდგან გვწერენ, რომ გასულ კვირას 10 დვინობისთვეს „შრომის" კორრესპონდენტს ბ. ივ. ჯაყელს მივარდნია ვიღაც დ. გ. შ. ლ. და ბევრი უცემია მისთვის. არ ვიცით კორრესპონდენციისათვის მიაყენეს მას ამ გვარი შეურაცხყოფა, თუ სხვა რამ საქმის მიზეზით".

რადგან ეს შენიშვნა მეხება მე; ამისათვის საჭიროთ ვრაცხ გამოვიყვანო პატივცემული „დროების" რედაქცია ამ იჭვნეულობისაგან და აუხსნა სრული სიმართლე ყოველივე და გარემოება საქმისა.

38 №-ში „შრომისა" მე დავბეჭდე პატარა კორრესპონდენცია ოზურგეთიდგან იმის შესახებ, რომ აქაურმა ნოტარიუსმა ბ. ნიკოლოზ ყიფიანმა უკანონოთ დაერთობ მომეტებულს ფულების ხდევნებით ერთობ შეავიწროვა აქაური საზოგადოება.

ჩემის სიტყვების დასამტკიცებლად მე მოვიყვანე მრავალი მაგალითები, რომელზედაც ვითხოვე მიაქციოს ყურადღება, ვისი მხრითაც ჯერ იყო, რომ შემდგომისათვის მაინც განგვათავისუფლონ ესრეთი უმოწყალო და უკანონო მოქმედებისაგან, რომელნიც ცხადათ აჩვენებდენ, რომ ბ. ნოტარიუსი თვით უბრალო აქტების შესრულებისათვის ახდევინებს ერთი-ათათ მეტს ფულებს, ვინემ მას ერგებოდა კანონით.

ამ კორრესპონდენციის შემდეგ ბ. ნატარიუსმა დაბეჭდა „შრომის" № 40 ვითომც პასუხი სადაც უბრალო სიტყვების რახა-რუხით თავს იმართლებდა. ბ. ნატარიუსი ამბობდა, რომ, თუ მე დანაშაული ვყოფილიყავიო ამ ცილის-წამებაშიო, მაშინ უთუოთ ჩემგან გაცარცული პირები მიჩივლებდენო და აგრეთვე იმას, რომ ივანე ჯაყელი ჩემთან მომდურავათ არისო. მისი პასუხი მდგომარეობდა მხოლოდ ზემოხსენებულ ორს სტრიქონში და რასაკვირველია, რომ ამ ცოტა და უაზრო პასუხმა ვერავინ ვერ დაარწმუნა ბ. ნატარიუსის სიმართლეში; არამედ ყველამ კიდევ უფრო ცხადად დაინახა მისი უკანონოთ ქცევა მის თანამდებობის შესრულების შესახებ.

ამ გარემოების ბრაზ-მოსულმა ნატარიუსმა შემომიჩინა ერთი მისი ამქართაგანი, მისი მაგირდი და თანამოზიარე სანაქებო ასპარეზზედ, უ. დ. გ. შ. ლ. რომელიც მომვარდა იმ დროს, როცა მე და ბ. გამყრელიძე, სეკრეტრის თანაშემწე ქუთაისის ოლქის სასამართლოისა, რომელიც იმ დროს აქ იმყოფებოდა, და სოლომონ გეგეშე ვისხედით ერთ აქაურ სასტუმროს ბალკონზედ და დამიპირა გალახვა, მაგრამ იმდენი შენს მტერს მოხვდა ბატ. რედაქტორო, რამდენიც მას მოხვდა ჩემი მსხვილი ჯოხის კრივი; ორ სართულიან სასტუმროს პარმაღიდამ გადავაგდე და ზურგით დაეცა მიწაზედ და ძლივს წამოდგა...

ივანე ჯაყელი.

22 დვინობისთვე.
ქ. ოზურგეთი.

# რუსეთი

თითქო სენად გადიქცა რუსეთში ამ უკანასკნელ ხანებში სახელმწიფო, საზოგადოების, თუ კერძო პირთა ხაზინებისა და ბანკის ცარცვა გუშინ მოვიდა ამბავი: — გაცარცვეს ხაზინა. 8 მილიონი მან. განქრა. ხაზინადარმა მოჰკურცხლა; დღეს მეორე ამბავი: — გაცარცეს ბანკი. აქაც მილიონები იმსხვერპლა ბ. ბანკის მმართველმა; აქ „ობლების" ფული 13 მილიონი, რომ ებარა, ის კაცი წავიდა სადღაც, გასაღები თანა აქვს, იქ ორი მილიონი დააკლდა ხაზინას, აქ — მილ. იქ 4 მილ. და სხვ.-და-სხვ. და სულ კი მილიონები. თითქო ხაზინადრები და ბანკირები ერთმანეთს შეჯიბრებიან არა მე მეტს წავიღებ, არა მე მეტსაო. გუშინ ძლივს ერთი ამბავი მოინელე, რომ დღეს მეორე უარესი გესმის. რადგან მილიონებზე წავიდა, ყველას მილიონები მიაქვს, ათასებს და ათი-ათასების წაღება სათაკილოდ მიაჩნიათ. ორი-სამი გაისტუმრეს ციმბირისაკენ, ამ გვარი საქმეების ჩამდენნი, მაგრამ მმართებლობას, თუ საზოგადოებას რა შეეძინა ამით. ამ პირთ ნაცარცვი ფულები თან გაიყოლეს და ციმბირის მომარჯულებელმა ბუნებამ ასეთი რა უნდა დაატყოს მათ.

---

ი, მწყემსებს მისცეს თავიანთი ცხენები; თითონ-კი მოსახდნენ ყაზახის ნებს, ზოგიც დაიჭირეს ხელში და ჭუსლეს.

ისინი მიახლოვდნენ ოსის სოფელს მალაგს, სადაც მასპინძლად ოსი ნდათ და იმისას ჩამოხტნენ. ის უხვდა იმათ სიხარულით, რადგანაც ოდა, რომ ნადავლში წილს დაუდენ.

მეორე დღეს მასპინძელმა რა ნახა ნები, თვალმა წასძლია და მოიაზრა, მ უკეთესი იქნებოდა თუ ამ ცხენებს დაინარჩომებდა სულ თითონ.

ამ დღეს იაგო და იმისი ამხანაგები ვს ჩუმათ შესვლას აპირებდნენ, რადგანაც დაძველებულს ტანისამოს ცვლა ეჭირებოდა და ნუნუს ამბის შეტყობაც უნდოდათ. ეს პირველი არ იყო იმათგან ძაუგს მისვლად ც არავინ იცნობდა იმათ, მათ, ო, რომ იმ დროს შერიგებული რიგებელისაგან ვერ გამოერჩიათ.

იაგომ და იმისმა ამხანაგებმა იცოდნენ, რომ ნუნუს მამა, მთხოვარა გლახაკ იყო, მაგრამ აქამდისინ არ შეოდ იყო და ამ მხრითაც იზიდამდა ეს ქალაქი.

— მაშ ძაუგში მიხვალთ? ჰკითხა სტუმრებს.

— ჰო, მივდივართ, უპასუხეს იმას. — ებთან, თუ არვინ დავაგდოთ?

— ცხენებს რაი უნდა, თივა ბევრი გაქვს და ბალღებიც მოუვლიან. უპასუხა ოსმა.

— შენც თუ არ მოდიხარ? ჰკითხა კობამ.

— ჰო, მეც საქმე მაქვს, შენი ჭირიმე.

შემობინდდა, როდესაც სტუმრები და მასპინძელი შემოვიდნენ ძაუგში, მივიდნენ ერთს სადგურში და დააბინავეს ცხენები. იმ ღამეს იმათ ერთად გაატარეს დრო და მეორე დღეს, ოსი დილითვე და დანარჩენები-კი საღამოს გამოვიდნენ თავ თავიანთ საქმეზედ.

კობა, რომელიც ბაზარში ასცდა თავის ამხანაგებს, მოულოდნელ შეხვდა ერთს მოხუცს გლახაკს, რომელიც მოწყალებას ითხოვდა. იმან თითქოს იგრძნო, რომ ეს მოხუცი მთხოვარა გლახა უნდა ყოფილიყო და ამისთვის მივიდა იმასთან, მისცა შაურიანი და ჰკითხა ვინაობა. მოხუცმა ისე ვადაკრით დაუწყო ლაპარაკი, რომ კობასთვის გამოაშკარდა იმისგან თავის დაფარვის სურვილი. ამისთვის ყმაწვილი მოხევე აღარ ჩაეცივდა და გუნებაშიკი გადაწყვიტა, რომ თვალი ედევნებინა მოხუცისთვის და უეჭველად შაეტყო იმის ვინაობა და ბინადრობა. ამისთვის იმას კარგა ხანი მოუნდა, სანამ მოხუცი წავიდოდა შინ, სადაც ფეხ და ფეხ მიჰყვა კობა და შორი ახლოდგან დაუწყო თვალიერობა. არ გამოიარა ნახევარ საათმა როდესაც გლახასთან ვიღაც შევიდა და მოინდომა, ...

სურვა იმათი ანბის უფრო დაწვრილებით შეტყობა. ის მიახლოვდა მოხუცის სახლის ფანჯარას და გაიგონა ნუნუს ხსენება კობამ ფანჯარას წყნარად ახადა და იმის თვალს წარმოუდგა ნუნუ და იმის მამა და ეს იყო მიზეზი, რომ იაგოს აქ ყოფნა ახარა და ისე საჩქაროდ იმისთვის გამობრუნდა, რომ უნდოდა, რაც შეიძლებოდა ჩქარა, ეხარებინა თავის ძმათნაფიცისთვის, ასეთი სასიამოვნო ანბავი, როგორც ნუნუს ჩამოსვლა და მოხუცის სახლის პოვნა.

ისა ჩქარობდა, რადგანაც იცოდა, რომ ღამე სიარული აღკრძალული იყო ქალაქში, და ვისაც ქუჩაში ცხრა საათის შემდეგ მოასწრობდნენ იჭერდნენ და ვისაც-კი ერთხელ ხელში ჩაიგდებდნენ მაშინდელის წესის დამცველნი, იმას იმედი უნდა გადაეწყვიტა, თავის დახსნაზედ. კობა ის იყო გამოვიდა ქუჩაზედ, როდესაც ყარაულის სალდათების ფეხის ხმა გაიგონა. ის შეუმცნეველი ვეღარ გაბრუნდებოდა და დარწმუნდა, რომ იმათ ვეღარ გადარჩებოდა, გადასწყვიტა ძვირად გაეყიდა თავისი სიცოცხლე. სალდათებს ჯერ არ შაემცნივათ ის და დამშვიდებულნი ტყაპა-ტყუპით მოდიოდნენ. კობამ გაივლო დამბაჩას ხელი, როდესაც დაინახა, რომ ბოგირზედ იდგა და სწრაფად გადასწყვიტა დამალულიყო იმის ქვეშ. თუ მაინცა და მაინც იმას დაინახამდნენ, იქიდგან თავის დაცვა უფრო ადვილი იყო, რადგანაც მხოლოდ ერთს მხარიდგან შეიძლებოდა ბოგირის ქვეშ შევლა და ბოგირის მეორე მხარე-კი თერგს გადაყურებდა, მაშასადამე იქიდგან, არამც თუ მოსადგომი იყო — გაჭირვების დროს, თერგში გადავარდნაც შეიძლებოდა. ის შევიდა ბოგირის ქვეშ და სალდათები-კი მოვიდნენ ბოგირზედ.

— დავისვენოთ ცოტა, თქვეს იმათ და ჩამოსხდნენ ბოგირის გვერდზედ.

იმათ გააბეს ლაპარაკი, საზიზღარს „ბუსურმანებზედ", მოუკიდეს ჩიბუხებს და გათენებამდინ ისე გაატარეს. აშკარა იყო, რომ მოხევე ვერ შაემჩნივათ.

კობას ბოგირის ქვეშ მოუნდა იმ ხნამდის დარჩენა სანამ სალდათები მოშორდებოდნენ და საშუალება მისცემდნენ შინ წასულიყო, სადაც ამხანაგები მოუთმენლად ელოდნენ.

იმათ რასაკვირველია უამათ კობას მისვლა და რა შეიტყეს ნუნუს ჩამოსვლა და მოხუცის სახლის პოვნა, სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა და ნატრობდნენ ჩქარს შეღამებას, რათა ტრფიალნი ერთად შაეყარად.

ა. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი — შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი — შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი — ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

20 ნოემბრისთვის, შაბათს, დანიშნულია

## კრება,

რომელზედაც უნდა შემუშავდეს და გამოიკვლიოს ქართული ტერმინები ყველა სასწავლო საგნებისა. მსურველთ ამ კრებაზე დასწრებისა სთხოვენ დანიშნულ დღისათვის შეჰკრიბონ, როგორც მზა ქართული ტერმინები, აგრეთვე გამოსაკვლევი — ახლები, რომელნიც გარჩეულ იქმნებიან კრებაზე.

უმორჩილესად სთხოვენ აგრეთვე ქალაქს გარეშე მცხოვრებთა, რომელთაც კი შეუძლიანთ ამ საქმეში დახმარება — თავის ცნობები გამოგზავნონ ამ ადრესით: **Тифлисъ, городское Ремесленное Училище, преподавателю А. Гуладзе,** ანუ **І. Мревлишвили.**

ადგილი თავის დროზე იქნება გამოცხადებული. (10—2)

---

ინგლისის

## მაღაზია

*Maison de confiance*

| | | | |
|---|---|---|---|
| შეკერილი წყვილი ჩაი — | 1 მ. 10 კ. | მოხუცების ჩაის — | 1 მ. 40 კ. |
| — — | 1—20 | — | 1—60 |
| — — | 1—40 | — | 1—80 |
| — — | 1—60 | — | 2— „ |
| — — | 1—80 | — | 2—50 |
| საუკეთესო — | 2— „ | — | 3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ქურქელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები — კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი — სულ ყველაფერი 25, დამ 5 პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—6)

---

**ღირსეულს და განათლებულს** ოჯახში მიიღებენ ქალებს საქალებო სასწავლებლებში მოსამზადებლად.

პირობების შეტყობა შეიძლება გორში, ბატ. დირექტორ სემენოვის ოჯახში. (10—9)

---

**სომეხთ ნერსესიან სასულიერო სემინარიის მზრუნველობა** აშით აცხადებს, რომ სამ ნოემბერს ამა 1882 წ., საღამოს 7 საათზ., დანიშნულია ვაჭრობა, **იჯარით გაცემაზედ** სემინარიის **სოღანლუღის ბაღისა.** პირობითა შეტყობა შეიძლება მზრუნველობის კანცელარიაში მუდამ დღე, უქმეებს გარდა, დილის 10 საათ.— 12 საათ. (3—3)

---

**„გამასესხებელი კასსა გ. ი. ბარამოვისა და კამპ“.**

**ქ. ქუთაისში.**

აცხადებს, რომ 5-ს და 12-ს ნოემბერს ამა წლისა დილის ათ საათიდგან, ამა კასსის წინ გაისყიდება აუქციონით ის გირაოები, რომელიც არ არის დახსნილი შემდეგ ორის ღვთისათვისა, ქ. ი. ოქროსი, ვერცხლისა და სხვა ნივთები. (5—3).

---

ახალი წიგნი

**ისყიდება შავერდოვის გაზეთის საagენტოში, ბულვარზე**

შემოკლებული

საქართველოს

## ისტორია

შედგენილი რომან ცანციევისაგან. 1882 წ. ფასი თოთხმეტი შაური, გაგზავნით ოთხი აბაზი.

---

**უმაღვილი ქალი,** რომელმაც კარგათ იცის ყოველი ხელ საქმე როგორათაც ხელით, ისეთაც მაშინით, **ეძებს ალაგს მკერავათ პატიოსან სახლში თვეობით.** ადრესი გაბაშვილის სახლში, ვერაზედ № 4. (8—8)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

---

ახალი ქართული

## ქარაბადინი

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; **ქუთაისში:** მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

---

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

## მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ.-და-პირ).

**ქუთაისში:** ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

**გორში:** მ. კერესელიძესთან.

---

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

## მწყემსის სტვირი

**ლექსები, სიმღერები და ზღაპრები**

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის სკოლაში და შინ საკითხავად

აღაიანცისა

გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის საagენტოსი.

ფასი ერთი აბაზი

---

სოსტატო ინსტიტუტში კურს დასრულებულს ჯსუმს [illegible]

**გაკვეთილები**

პირობების შეტყობა შეიძლება „დროების“ რედაქციაში. (10—5)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში:

## თამარ დედოფალი

შედგენილი

კ. ბ — შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

---

### ტაქსის

საკვებად ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დახლებში 1 ოკტომბრიდამ 15 ოკტომბრამდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| **გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილ[ის]** | | | |
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 5[1/2 კ.] |
| მეორის | „ | —1 გირ. | 4 [კ.] |
| მესამის | „ | —1 გირ. | — |
| **იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარ[ი]:** | | | |
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 4½ |
| **ჯვარის-მამის პური:** | | | |
| პირველ ხარის. ლავაში | | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის | „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის | „ „ | —1 გირ. | 4½ |
| **ძროხის ხორცი:** | | | |
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 8 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი | — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | | 1 გირ. | 8 კ. |
| **ღორის ხორცი:** | | | |
| პირველი ხარისხის | | —1 გირ. | — კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | — კ. |

---

# წმიდა სანთლის საწყობი დახურულ ბაზარში;

სადაც ისყიდება ყოველი გვარის წმიდა სანთელი თეთრი და ყვითელი მოსკოვის თავი ქარხნებისა. სხვა ქალაქებიდამ მსურველთ შეუძლიანთ მოიწერონ ამ ადრესით. *Тифлисъ, Григорію Павловичу Арешову.* შეიძლება საქონლის გამოგზავნა თუთუნოვების ანუ სხვ. კანტორით, პირობები შეიძლება გაიგოთ წერილით. (3—3)

---

### ბიბლიოგრაფიული განცხადება.

**ბუნების კარი,** ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი,** მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს — ათს შაურად.

*Дозволено цензурою. Тифлисъ. 29 Октября 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი